## კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ყვარლის მუნიციპალიტეტის დავით ელიზბარაშვილის სახელობის შილდის N1 საჯარო სკოლა.

| ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ | |
|---|---|
| სეგმენტი | მოსწავლეები |
| **კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება** | V-კლასი |
| **მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად** | მაგდანას ლურჯა - ეკატერინე გაბაშვილი |
| **ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში**<br><br>*(მაგალითად,  დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)* | დაზოგვა, ფული, პრიორიტეტი, გონივრული სესხი, ინვესტიცია და ბარტერი. |
| **სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები**<br>*(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)* | ლიტერატურის განხილვისას გამოვიყენეთ მეთოდები, როგორებიცაა შემთხვევის განხილვა და დისკუსია.<br>შემთხვევის განხილვა მოსწავლეს ეხმარება ჩამოაყალიბოს აზრები, განიხილოს მომხდარი, შეადაროს წარსული, აწმყო და დააკავშიროს მომავალთან.<br>დისკუსია ძალიან კარგი საშუალებაა არგუმენტების ჩამოყალიბებაში და კრიტიკულ აზროვნებაში. ერთმანეთის აზრების პატივისცემა და უნარი იმისა, რომ იყო კარგი მსმენელი რათა პასუხი გასცე თავდაჯერებულად და სწორად. შემთხვევის განხილვა და დისკუსია მოსწავლეს ეხმარება ჩამოყალიბდეს პასუხისმგებლიან მოქალაქედ და პატივისცეს თანამოქალაქეს. |

| | |
|---|---|
| | კონკრეტული აქტივობები ხელს უწყობს კლასის მართვას. |
| **აქტივობის აღწერა**<br>*(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)* | მოსწავლეებს გავაცანი კონკურსი და მისი პირობა, ვიფიქრეთ თუ რომელი ნაწარმოები შეიძლებოდა განგვეხილა. ერთობლივად შევთანხმდით ***ეკატერინე გაბაშვილის*** **''მაგდანას ლურჯა**''-ს ნაწარმოებზე. ნაწილ ნაწილ მოყვნენ მოსწავლეები შინაარს, შემდეგ განვიხილეთ ყველა ის შემთხვევა რაც მოცემულია ნაწარმოებში.<br>●რამდენად დიდ სიდუხჭირეს უძლებდა მაგდანა, როგორ ცდილობდა გამოსავალი ეპოვა, რა **ფინანსურ** პრობლემებთან უწევდა გამკლავება.<br>●როგორ იპოვეს ვირი, რომელმაც შეძლო მათი ყოფის შემსუბუქება. **ინვესტიცია** ჩადეს ცხოველის-ვირის მოვლაში, მიუხედავად იმის რომ თვითონაც ნაკლებად ჰქონდათ სარჩო საზადებელი, ფეხზე დააყენეს და მისი მეშვეობით მაგდანა მეტ **ფულს** გამოიმუშავებდა ვიდრე იქამდე.<br>●მაგდანა **გონივრულად ახდენდა სესხის აღებას** რძის სახით, შემდგომში ის მაწონს ყიდდა და ფულის სახით უკან უბრუნებდა მფლობელს.<br>●ცივ ზამთარში, როდესაც ძროხა შრებოდა მაგდანა სხვადსხვა ნივთებს ყიდულობდა და ყიდდა ქალაქში, ასევე ახდენდა გაცვლას-**ბარტერი.**<br>● მაგდანამ **დანაზოგით** შეძლო ფქვილის, ხორბლის და ცოტა მზითვის ყიდვა დიდი გოგონასთვის.<br>● მაგდანასთვის **პრიორიტეტი** გახლდათ შვილები. მათ ჯანმრთელობაზე, საკვებზე და მომავალზე ზრუნვა.<br>**აქტივობის ხანგრძლივობა 90 წთ.** |

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში
ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

| | |
|---|---|
| **შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ**<br>*(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)* | **აქტივობის შედეგად გამოიკვეთა:**<br>1.მოსწავლეების მაღალი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.<br>2.კრიტიკული აზროვნება<br>3.პრობლემის ამოცნობა, გაგება და გაანალიზება.<br>4.შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება.<br>5.კომუნიკაცია<br>6.დროსა და სივრცეში ორიენტირება.<br>დაკვირვების შედეგად ნათელი გახდა, რომ მოსწავლეებმა გამოავლინეს 21-ე საუკუნის გამჭოლი უნარები. ისინი შეძლებენ მიიღონ გამოწვევები და დაძლიონ სირთულეები. |